ღია საზოგადოების ფონდი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატთა

ინდივიდუალური პორტფოლიოები

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატთა შესახებ ინფორმაციის მოძიებისა და დამუშავების მეთოდოლოგია

შესავალი

2019 წელს საქართველოს პარლამენტმა, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წარდგინებით, საქართველოს უზენაესი სასამართლოს არაუმეტეს 20 მოსამართლე უვადოდ უნდა აირჩიოს. აღნიშნული პროცედურა გამყარებულია 2018 წლის 16 დეკემბერს ამოქმედებული საქართველოს კონსტიტუციის ახალი რედაქციის 61-ე მუხლის მე-2 პუნქტით[1], ასევე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით, რომელშიც ცვლილებები 2019 წლის 1 მაისს განხორციელდა.

მიღებულ საკანონმდებლო ცვლილებებით დადგინდა საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისთვის წარსადგენი კანდიდატების შერჩევის წესი და პროცედურა. რაც შეეხება შერჩევის კრიტერიუმებს, კანონი მიუთითებს, რომ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრები, უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისთვის წარდგენილი კანდიდატების შერჩევისას, ხელმძღვანელობენ ორგანული კანონით დადგენილი იმ კრიტერიუმებით, რომელიც დადგენილია პირველი და მეორე ინსტანციის სასამართლოს მოსამართლეთა შესარჩევად.[2]

საქართველოში მართლმსაჯულების დამოუკიდებელი, მიუკერძოებელი და გამჭვირვალე სისტემის ჩამოყალიბებისა და ამ სისტემაში საქართველოს უზენაესი სასამართლოს როლისა და მნიშვნელობის გათვალისწინებით, „საქართველოს ღია საზოგადოების ფონდმა“ გადაწყვიტა, დაეწყო საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატთა შესახებ ინფორმაციის მოძიებისა და დამუშავების ალტერნატიული პროცესი, რომლის ფარგლებშიც, განხორციელდება იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ ზეპირი გასაუბრებების შედეგად შერჩეული/ნომინირებული ოცი კანდიდატის შესახებ ინფორმაციის შეგროვება, დამუშავება და საქართველოს პარლამენტისთვის წარდგენა.

---

[1] „უზენაესი სასამართლოს შემადგენლობაში შედის არანაკლებ 28 მოსამართლე. უზენაესი სასამართლოს მოსამართლეებს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წარდგინებით უვადოდ, ორგანული კანონით დადგენილი ასაკის მიღწევამდე, სრული შემადგენლობის უმრავლესობით ირჩევს პარლამენტი“.

[2] იხ. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34[1]-ე მუხლის მე-6 პუნქტი და 35[1] მუხლის პირველი და მე-3–მე-14 პუნქტები, ხელმისაწვდომია:

აღნიშნული პროცესი, ერთი მხრივ, უზრუნველყოფს საქართველოს პარლამენტის წევრების დამატებით ინფორმირებას ასარჩევი კანდიდატის შესახებ, მეორე მხრივ კი, საზოგადოებას მიეწოდება ამომწურავი ინფორმაცია თითოეული კანდიდატის გამოცდილების, მისი მიღწევების, შესაძლო ინტერესთა კონფლიქტის ან/და სხვა ხარვეზების შესახებ.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატთა შესახებ ინფორმაციის მოძიებისა და დამუშავების მეთოდოლოგიის შემუშავება

წინამდებარე მეთოდოლოგია შემუშავდა დაინტერესებულ მხარეთა აქტიური მონაწილეობითა და ჩართულობით. კერძოდ, 2019 წლის 31 მაისს, „საქართველოს ღია საზოგადოების ფონდის“ ორგანიზებით, გაიმართა შეხვედრა, რომელშიც მონაწილეობას იღებდნენ როგორც ფონდის წარმომადგენლები, აგრეთვე კოალიცია „დამოუკიდებელი და გამჭირვალე მართლმსაჯულებისათვის“ წევრი ორგანიზაციები. ამავდროულად, შეხვედრაში და, შესაბამისად მეთოდოლოგიის შემუშავებაში, ჩართულები იყვნენ მოწვეული ექსპერტები და მართლმსაჯულების საკითხებზე მომუშავე სხვა პირები. შეხვედრისას, შემუშავდა ზოგადი ჩარჩო და ძირითადი მიმართულებები, რომლის გამოკვლევაც უნდა მოხდეს უზენაესი სასამართლოს მოსართლეობის თითოეულ კანდიდატთან დაკავშირებით.

ამავდროულად, შეხვედრის მონაწილეები შეთანხმდნენ თუ კონკრეტულად რა საკითხებზე უნდა მოხდეს ინფორმაციის შეგროვება და დამუშავება. ასევე, მონაწილეები შეთანხმდნენ იმ წყაროების გამოყენებაზეც, რომლიდანაც მოხდება აღნიშნულ ინფორმაციათა მოძიება და დამუშავება. წინამდებარე მეთოდოლოგია ეყრდნობა სწორედ შეხვედრისას შეჯერებულ მიმართულებებს, ჩარჩოსა და ინფორმაციათა მოძიებისთვის გამოსაყენებელ წყაროებს.

ამავდროულად, მეთოდოლოგიის შემუშავებისას, ყურადღება მიექცა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 35[1] და 36[3] მუხლებით გათვალისწინებულ რეგულირებებს, რომლითაც დადგენილია მოსამართლეობის კანდიდატის შერჩევის კრიტერიუმები და მათი მახასიათებლები.[3], ასევე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2009 წლის 9 ოქტომბრის N1/308 გადაწყვეტილებას „მოსამართლეობის კანდიდატების შერჩევის წესის დამტკიცების შესახებ“.[4] თუმცა, ინფორმაციის შეგროვებისა და დამუშავების მიზნებისთვის, შემუშავებული მეთოდოლოგია არ არის შემოფარგლული მხოლოდ აღნიშნული კრიტერიუმებით.

ამ მონაცემებზე დაყრდნობით, შემუშავდა ხუთი ძირითადი მიმართულება/არეალი, რომლის გამოკვლევაც მოხდება თითოეულ კანდიდატთან დაკავშირებით. ეს მიმართულებებია:

---

[3] *შენიშვნა*: კანონით დადგენილი კრიტერიუმები გამარტივებული ფორმით გადმოტანილია მეთოდოლოგიის დოკუმენტის დანართ N2-ში
[4] http://hcoj.gov.ge/files/pdf%20gadacyvetilebebi/konsolidirebuli%20gadackvetilebebi/308.pdf

1. მოსამართლეობის კანდიდატის პროფესიული და აკადემიური საქმიანობის, პროფესიული და აკადემიური საქმიანობისას გამოვლენილი თვისებების/ქცევის, აგრეთვე პროფესიულ და აკადემიურ საქმიანობაში ჩადენილი გადაცდომების (დისციპლინური წარმოება, პროფესიული ეთიკა) იდენტიფიცირება;
2. მოსამართლეობის კანდიდატის საჯარო აქტივობების, გამოთქმული მოსაზრებების/პოზიციონირების და ქცევების იდენტიფიცირება;
3. მოსამართლეობის კანდიდატის კანონთან ან/და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრთან ან/და პარლამენტის წევრთან პოტენციური ინტერესთა კონფლიქტის იდენტიფიცირება.
4. მოსამართლეობის კანდიდატის, მისი ოჯახის წევრისა და დაკავშირებული პირების ფინანსური ვალდებულებების/ქონების/შემოსავლების წყაროების იდენტიფიცირება;
5. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ მოსამართლეობის ოცივე კანდიდატთან გამართული ზეპირი გასაუბრების ჩანაწერის, შეკითხვების თემატიკის და კანდიდატის მიერ გაცემული პასუხების გაშიფვრა/ანალიზი, კანდიდატების მიერ დაფიქსირებული რელევანტური პასუხების/პოზიციების იდენტიფიცირება.

შენიშვნა: მესამე და მეოთხე მიმართულება, მეტწილად, უზრუნველყოფს მოსამართლეთა კეთილსინდისიერების კომპონენტთან შესაბამისობის დადგენას, მაშინ როდესაც, პირველი და მეორე მიმართულება მოიცავს როგორც კეთილსინდისიერების, ასევე კომპეტენტურობის კრიტერიუმს.

ასევე, იუსტიციის უმაღლეს საბჭოში კანდიდატის ზეპირი გასაუბრების შედეგად დაფიქსირებული პოზიციების ანალიზის შედეგად, გამოიკვეთება კანდიდატის ის პასუხები, რომლებიც მიემართება როგორც მის კეთილსინდისიერებას, ასევე კომპეტენტურობას.

თითოეული მიმართულება შედგება ქვესაკითხებისგან, რომელთა შესახებ დამატებითი განმარტებები, შემუშავებული ცხრილის სხვა კომპონენტებთან ერთად, შემდეგ თავშია მოცემული.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატთა შესახებ ინფორმაციის მოძიებისა და დამუშავებისათვის შემუშავებული მიმართულებები და მისი შემადგენელი კომპონენტები

როგორც უკვე აღინიშნა, ინფორმაციის მოძიებისა და დამუშავებისათვის გამოიყო ხუთი ძირითადი მიმართულება. თითოეული მიმართულება შედგება ქვესაკითხებისგან, ყველა ქვესაკითხის შემთხვევაში მითითებულია შემდეგი:

1) ინფორმაციის წყარო/ინსტრუმენტი

აღნიშნულ ნაწილში, მითითებულია ის ინსტრუმენტები და წყაროები, რომლის გამოყენებითაც უნდა მოხდეს ინფორმაციის მოძიება. ამ ნაწილში ჩამოთვლილია როგორც დაწესებულებები/პირები/ადრესატები, რომლებმაც შეიძლება მნიშვნელოვანი ინფორმაცია მოწოდება შეძლონ, ასევე კონკრეტული ინსტრუმენტები/დოკუმენტები/საძიებო სისტემები, რომლის დახმარებითაც, შესაძლებელი იქნება ინფორმაციის მოპოვება. აღნიშნული ჩამონათვალი არ არის ამომწურავი და მას შეიძლება დაემატოს ყველა სხვა რელევანტური ინსტრუმენტი/წყარო.

2) შეფასების კრიტერიუმი, რომელიც მოწმდება

ამ ნაწილში იგულისხმება კანონით დადგენილი ორი კრიტერიუმიდან (კეთილსინდისიერება და კომპეტენტურობა) რომელს მიემართება მოპოვებული ინფორმაცია. გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ ხშირ შემთხვევაში, ინფორმაცია გამოსადეგი და ღირებულია ორივე კრიტერიუმის შესაფასებლად. ასეთ დროს, ინფორმაციის დახარისხებისას მიეთითება ორივე კრიტერიუმი.

3) შეფასების კრიტერიუმის მახასიათებელი, რომელიც მოწმდება

ამ ნაწილში იგულისხმება თითოეული კრიტერიუმის (კეთილსინდისიერება, კომპეტენტურობა) არსებული მახასიათებლებიდან რომლის შეფასებაში შეიძლება შეიტანოს წვლილი მოპოვებულმა ინფორმაციამ. ხშირ შემთხვევაში, მოპოვებული ინფორმაცია ერთდროულად რელევანტურია რამდენიმე მახასიათებლისთვის. შესაბამისად, მეთოდოლოგიის თითოეული კრიტერიუმის სპეციალურ ცხრილში მითითებულია ყველა რელევანტური მახასიათებელი.

ამავდროულად, გასათვალისწინებელია რომ, კანონში ცალ-ცალკეა გაწერილი კრიტერიუმები/მახასიათებლები სამოსამართლო გამოცდილების მქონე და არმქონე კანდიდატებისათვის. ისინი არსებითად ერთმანეთს ემთხვევა, თუმცა განსხვავება ისაა, რომ სამოსამართლო გამოცდილების მქონე კანდიდატების შემთხვევაში, მახასიათებლების ქვეშ უფრო მეტი კომპონენტია მითითებული. შესაბამისად, სამოსამართლო გამოცდილების მქონე კანდიდატთა შემთხვევაში, ყურადღება მიექცევა ამ დამატებით მახასიათებლებსაც (მაგალითად მიღებული გადაწყვეტილებები, ქცევა სასამართლო დარბაზში და სხვ.)

4) **შეგროვებული ინფორმაციის შერჩევა/დახარისხება/გადარჩევა**

შეგროვებული ინფორმაციის მოცულობდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, კანდიდატის საბოლოო პორტფოლიოში, აისახოს მხოლოდ რელევანტური და მოსამართლის კეთილსინდისიერებისა და კომპეტენტურობის განმსაზღვრელი ინფორმაცია. სწორედ

ამიტომ, თითოეულ შემთხვევაში, მითითებულია ის კონკრეტული საკითხები, რომლებსაც მოპოვებული ინფორმაციის დამუშავებისას ყურადღება უნდა მიექცეს.

მეთოდოლოგიის ეს ნაწილი ეფუძნება კანონში (და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწვეტილებაში) მითითებული თითეული მახასიათებლის ქვეშ არსებულ განმარტებებს, თუმცა არ შემოიფარგლება მათით და მოიცავს ისეთ საკითხებსაც, როგორიცაა, მაგალითად კანდიდატის მიერ გამოხატული განცხადებებისას თანასწორობის პრინციპის დაცვა, სასამართლოსთან დაკავშირებულ თემებზე მის მიერ გამოხატული პოზიციები და სხვ.

შეგროვებული ინფორმაციის მოცულობდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, მხოლოდ რელევანტური და მოსამართლის კეთილსინდისიერებისა თუ კომპეტენტურობისათვის განმსაზღვრელი ინფორმაციის იდენტიფიცირება. სწორედ ამიტომ, თითოეულ შემთხვევაში, მითითებულია ის კონკრეტული საკითხები, რომლებსაც უნდა მიექცეს ყურადღება მოპოვებული ინფორმაციის დამუშავებისას. ეს ნაწილი ეყრდნობა კანონში (და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწვეტილებაში) მითითებული თითეული მახასიათებლის ქვეშ არსებულ განმარტებებს, თუმცა არ შემოიფარგლება მათით და მოიცავს ისეთ საკითხებსაც, როგორიცაა მაგალითად: კანდიდატის მიერ გამოხატული განცხადებებისას თანასწორობის პრინციპის დაცვა, სასამართლოსთან დაკავშირებულ თემებზე მის მიერ გამოხატული პოზიციები და სხვ.

დასკვნა

აღსანიშნავია რომ, წინამდებარე მეთოდოლოგია მიემართება მხოლოდ ინფორმაციის მოპოვებისა და დამუშავების გზებს და არა მოპოვებული ინფორმაციის ანალიტიკურ შეფასებას. ამდენად, შემუშავებულ მეთოდოლოგიაზე დაყრდნობით, მოპოვებული მასალების შეფასება და, შესაბამისად, კანდიდატის საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან შესაბამისობის გაანალიზება/დადგენა არ მოხდება.

ინფორმაციის შეგროვებისა და დამუშავების მიზანია, ყველა იმ რელევანტური ინფორმაციის იდენტიფიცირება და მიწოდება პარლამენტის წევრებისა და საზოგადოებისათვის, რომელმაც შესაძლოა, გავლენა იქონიოს თითოეული კანდიდატის შერჩევის შესახებ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებაზე.

მეთოდოლოგიის დოკუმენტს თან ერთვის ცხრილი **(დანართი N1),** რომელშიც გაწერილია, რა ტიპის ინფორმაციის შეგროვება და დამუშავება იგეგმება თითოეული მიმართულების ფარგლებში.

მეთოდოლოგიის დოკუმენტს თან ერთვის კანონით გათვალისწინებული კეთილსინდისიერებისა და კომპეტენტურობის მახასიათებლები (გამარტივებული ფორმით), რომელშიც მითითებულია, თუ რა დამატებით გარემოებებს ექცევა ყურადღება სამოსამართლო გამოცდილების მქონე კანდიდატების შემთხვევაში **(დანართი N2)**.

მეთოდოლოგიის დოკუმენტს, ასევე თან ერთვის ნიმუში, თუ რა ფორმით უნდა აღიწეროს თითოეულ კანდიდატებზე მოგროვებული ინფორმაცია **(დანართი N3).**

მეთოდოლოგიის ცხრილი

დანართი N1

I. მოსამართლეობის კანდიდატის საჯარო აქტივობების/პოზიციონირების და ქცევების იდენტიფიცირება

აქტივობის ტიპი	**ინფორმაციის წყარო/ინსტრუმენტი**	**შეფასების კრიტერიუმი, რომელიც მოწმდება**	**შეფასების კრიტერიუმის მახასიათებელი, რომელიც მოწმდება**	**კონკრეტული საკითხები, რომლებზეც უნდა მოხდეს ყურადღების გამახვილება**
1.სოციალურ ქსელებში განხორციელებული აქტივობები	ძირითად სოც. ქსელებში, როგორიცაა Facebook, Twitter, odnoklassniki, vkontakte, Instagram გამოქვეყნებული პოსტები, მოწონებები, გაზიარებები, კომენტარები, ჯგუფებში წევრობები, მოწონებული გვერდები და ა.შ.	1. კეთილსინდისიერება	1.1. დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა, სამართლიანობა 1.2. პიროვნული და პროფესიული ქცევა	• თანასწორობის/ადამიანის უფლებების საკითხებთან დაკავშირებული ხედვა; • ეთიკის ნორმების დაცვა; • პოლიტიკური აქტივობები/შესაძლო პოლიტიკური მიკუთვნებულობა (რომელიმე პარტიის აქტიური მხარდაჭერის გამოხატვა მაგალითად); • სასამართლოსთან დაკავშირებული თემებზე (როგორც ინსტიტუციური საკითხები, ასევე კონკრეტული გადაწყვეტილებები) რეაგირებები; • სამოქალაქო საზოგადოებასთან და დემოკრატიულ ღირებულებებთან დაკავშირებით გამოხატული პოზიციები.
2.საჯარო გამოსვლები და ინტერვიუები	სოც. მედიაში, ბეჭდურ მედიაში, რადიოში, ანდა ტელევიზიაში გამოქვეყნებული ინტერვიუები	1. კეთილსინდისიერება 2. კომპეტენტურობა	1.1. პიროვნული და პროფესიული ქცევა 2.1. წერისა და ზეპირი	• თანასწორობის/ადამიანის უფლებების საკითხებთან დაკავშირებული ხედვა; • ეთიკის ნორმების დაცვა; • სასამართლოსთან დაკავშირებული თემებზე (როგორც ინსტიტუციური საკითხები, ასევე კონკრეტული გადაწყვეტილებები) რეაგირებები;

			კომუნიკაციის უნარი 2.2. პროფესიული აქტივობა	• სამოქალაქო საზოგადოებასთან და დემოკრატიულ ღირებულებებთან დაკავშირებით გამოხატული პოზიციები; • *ჟურნალისტებთან დამოკიდებულება.*
3.ლექციების/ტრენინგების და მსგავსი საგანმანათლებლო ღონისძიებების ჩატარება ან მასში მონაწილეობა	• Youtube-ზე ან სხვა ონლაინ რესურსზე გამოქვეყნებული ლექცია-ტრენინგები; • სოც. ქსელებში გამოქვეყნებული ღონისძიებები, სადაც კანდიდატი მითითებულია მომხსენებლად; • უნივერსიტეტებიდან გამოთხოვილი ინფორმაცია კანდიდატის აკადემიური საქმიანობის ან საჯარო ლექციების ჩატარების შესახებ; • სხვა დაწესებულებებიდან, როგორიცაა მაგალითად საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია (GBA), პროკურატურა, შსს-ს აკადემია გამოთხოვილი ინფორმაცია კანდიდატის აკადემიური საქმიანობის ან საჯარო ლექციების ჩატარების შესახებ;	1.კეთილსინდისიერება 2.კომპეტენტურობა	1.1. პიროვნული და პროფესიული ქცევა 2.1. ზეპირი კომუნიკაციის უნარი 2.2. პროფესიული თვისებები 2.3. აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა 2.4. პროფესიული აქტივობა	• თანასწორობის/ადამიანის უფლებების საკითხებთან დაკავშირებული ხედვა; • ეთიკის ნორმების დაცვა; • სამოქალაქო საზოგადოებასთან და დემოკრატიულ ღირებულებებთან დაკავშირებით გამოხატული პოზიციები; • სასამართლოსთან დაკავშირებული თემებზე (როგორც ინსტიტუციური საკითხები, ასევე კონკრეტული გადაწყვეტილებები) გამოხატული ხედვები; • *ტრენინგების/ლექციების თემატიკა და შინაარსი;*

	• კანდიდატის CV-ში მითითებული ტრენინგების ჩამონათვალი, რაშიც მან მიიღო მონაწილეობა			
4. გამოქვეყნებული სტატია/წიგნი/რეცენზია; სხვა სახის აკადემიური საქმიანობა	• საძიებო სისტემების გამოყენებით სტატიების მოძიება; • ონლაინ ჟურნალებისა და ბიბლიოთეკის კატალოგების შემოწმება; • საუნივერსიტეტო ბაზებში დისერტაციების მოძებნა; • წიგნის მაღაზიებსა და გამომცემლობებში ინფორმაციის მოძიება.	2.კომპეტენტურობა	2.1. სამართლის ნორმების ცოდნა 2.2.სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია 2.3.წერის უნარი 2.4. აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა 2.5.პროფესიული აქტივობა	• თანასწორობის/ადამიანის უფლებების საკითხებთან დაკავშირებული ხედვა; • სამოქალაქო საზოგადოებასთან და დემოკრატიულ ღირებულებებთან დაკავშირებით გამოხატული პოზიციები; • სასამართლოსთან დაკავშირებული თემებზე (როგორც ინსტიტუციური საკითხები, ასევე კონკრეტული გადაწყვეტილებები) გამოხატული ხედვები; • *აკადემიურ სტანდარტების დაცვის ხარისხი;* • *ნაშრომის გავლენა/შედეგი:, არის თუ არა ციტირებადი, ხდება თუ არა მისი გამოყენება, რა ღირებულება აქვს ნაშრომს, არის თუ არა სილაბუსის ნაწილი, არის თუ არა ნაშრომი გამორჩეული/ორიგინალური*

II. მოსამართლეობის კანდიდატის პროფესიული საქმიანობის/პროფესიული საქმიანობისას გამოვლენილი თვისებების/ქცევის, აგრეთვე პროფესიულ საქმიანობაში გადაცდომების იდენტიფიცირება

საქმიანობის ტიპი	**ინფორმაციის წყარო/ინსტრუმენტი**	**შეფასების კრიტერიუმი, რომელიც მოწმდება**	**შეფასების კრიტერიუმის**	**კონკრეტული საკითხები, რომლებზეც უნდა მოხდეს ყურადღების გამახვილება**

			მახასიათებელი, რომელიც მოწმდება	
1.*სამოსამართლო გამოცდილების მქონე კანდიდატის შემთხვევაში:* კანდიდატის მიერ მიღებული/ მომზადებული გადაწყვეტილებები/განსხვავებული აზრი/წარდგინება	ინფორმაციის წყარო: • ადვოკატები/ საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია (GBA); • არასამთავრობო ორგანიზაციები; • საქართველოს იურიდიული ფირმების ასოციაცია (სიფა); • იურიდიული დახმარების სამსახური; • სასამართლოებიდან გამოთხოვილი ინფორმაცია; • საჯარო თხოვნა საზოგადოებას; • უზენაესი სასამართლოს ბაზა; • სამართლის ელექტრონული ბიბლიოთეკა; • სახალხო დამცველის, საერთაშორისო ან ადგილობრივი ორგანიზაციების ანგარიშები; • საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები; • ECtHR-ის გადაწყვეტილებები;	1.კეთილსინდისიერება; 2.კომპეტენტურობა	1.1. პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი 1.2. დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა 2.1. სამართლის ნორმების ცოდნა 2.2. სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	• უზენაესის/ საკონსტიტუციოს და საერთაშორისო/რეგიონალური სასამართლოების პრაქტიკის, აგრეთვე სამართლის ნორმების სწორი გამოყენება; • სამართლებრივად საინტერესო ან პრეცედენტული გადაწყვეტილებების არსებობა; • გაკეთებული განმარტებების ხარისხი; • მოწყვლად ჯგუფებზე/უმცირესობებზე გამოხატული პოზიცია; • გადაწყვეტილებების თანმიმდევრულობა (თავისივე გადაწყვეტილებებში ლოგიკაში აცდენის შემთხვევები); • გადაწყვეტილებების შაბლონურობა; • გახმაურებულ საქმეებში მონაწილეობა და გამოხატული პოზიცია; • განხილული საქმეების (განსაკუთრებით რთული კატეგორიის საქმეთა) რაოდენობა; • კანდიდატის მონაწილეობით მიღებულ გადაწყვეტილებებთან მიმართებით ზედა ინსტანციებში ან ECtHR-ში მიღებული გადაწყვეტილებების რაოდენობა და შეფასება (მათ შორის გაუქმებული გადაწყვეტილებების თანაფარდობა ძალაში დატოვებულ გადაწყვეტილებებთან; EctHR-ის შემთხვევაში მის მიერ ცნობილი დარღვევები); • გაკეთებული წარდგინებების რაოდენობა და შინაარსი.

	• იუსტიციის უმაღლესი საბჭოდან გამოთხოვილი ინფორმაცია; • უნივერსიტეტები და აკადემიური წრეები.			სისხლის საქმეებზე დამატებით: • კანდიდატის მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებების ზოგადი სტატისტიკა (თანაფარდობა გამამართლებელ და გამამტყუნებელ განაჩენებს შორის) • აღკვეთის შეფარდების სტანდარტი რასაც იყენებს/აღკვეთის შეფარდების სტატისტიკა • ფარულ მოსმენებთან დაკავშირებით მიღებული განჩინებების სტატისტიკა.
2.სამოსამართლო გამოცდილების მქონე კანდიდატის შემთხვევაში: კანდიდატის ქცევა და გამოვლენილი თვისებები პროცესების მიმდინარეობისას და სხვა სახის საქმიანობის განხორციელებისას	ინფორმაციის წყარო: • ადვოკატები/ საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია (GBA); • არასამთავრობო ორგანიზაციები; • საქართველოს იურიდიული ფირმების ასოციაცია (სიფა); • იურიდიული დახმარების სამსახური; • უნივერსიტეტები და აკადემიური წრეები; • საჯარო თხოვნა საზოგადოებას ინფორმაციის მოწოდების თაობაზე.	1.კეთილსინდისიერება; 2.კომპეტენტურობა	1.1. დამოუკიდებულობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა 1.2. პიროვნული და პროფესიული ქცევა 2.1. ზეპირი კომუნიკაციის უნარი 2.2. პროფესიული თვისებები, მათ შორის ქცევა სასამართლო დარბაზში	პიროვნული და პროფესიული ქცევის შესამოწმებლად ყურადღება მისაქცევია კანდიდატის (მიერ): • სამოსამართლო ეთიკის დაცვა; • კორექტულობა კოლეგებთან და სხვა პირებთან ურთიერთობისას; • მოსამართლის მაღალი წოდების მესაბამისი ქცევა და იმიჯი; • თავდაჭერილობა/თმენის ვალდებულების შესრულება, საკუთარი ემოციების მართვის უნარი; • საქმიანობისას დისკრიმინაციული გამონათქვამებისგან თავის შეკავება ზეპირი კომუნიკაცის უნარის შესამოწმებლად, ყურადღება მისაქცევია კანდიდატის: • გამართული მეტყველების უნარი; • სხვისი/განსხვავებული აზრის მოთმინებით მოსმენის უნარი და ღიაობა პროფესიული თვისებების, მათ შორის სასამართლო დარბაზში ქცევის

				შესამოწმებლად ყურადღება მისაქცევია კანდიდატის: • პუნქტუალობა; • საქმის ჯეროვნად და პასუხისმგებლობით მომზადება; • ქცევა სასამართლო დარბაზში და სასამართლო სხდომის წარმართვის უნარი; • ქცევა მხარეებთან ურთიერთობისას; • გადაწყვეტილების დაუხმარებლად მიღებისა და დამოუკიდებლად აზროვნების უნარი; • სტრესულ სიტუაციაში მუშაობის უნარი; • მიზანდასახულობა; • პროდუქტიულობა და სისწრაფე; • საპროცესო ვადების დაცვა; • მენეჯერული უნარ-ჩვევები;
3.*სამოსამართლო გამოცდილების არმქონე კანდიდატის შემთხვევაში:* პროფესიული საქმიანობის ფარგლებში მიღებული გადაწყვეტილებები/საქმიანობა (ადვოკატები, პროკურორები)	• საკონსტიტუციო სასამართლოს/ECtHR-ს ან სხვა სასამართლოს ბაზები სარჩელების/განცხადებების მოსაძებნად; • კანდიდატის შექმნილი სხვა პროფესიული პროდუქტების (მათ შორის: საჩივრები, განცხადებები და ა.შ.) მოძიება პროფესიული წრეების და დაწესებულებების დახმარებით (GBA, პროკურატურა, უნივერსიტეტები...)	1.კეთილსინდისიერება; 2.კომპეტენტურობა	1.1. პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი 1.2. დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა 2.1. სამართლის ნორმების ცოდნა 2.2. სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	• Pro Bono საქმიანობა; • საკონსტიტუციო სასამართლოში/ECtHR-ში ან სხვა სასამართლოში წარმოებული საქმეები; • აშკარად დაუსაბუთებელი პოზიციის/გადაწყვეტილებების არსებობა; • ადამიანის უფლებების ცოდნა-საერთაშორისო პრეცედენტების გამოყენება.

4.სამოსამართლო გამოცდილების არმქონე კანდიდატის შემთხვევაში: კანდიდატის ქცევა და გამოვლენილი თვისებები პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას	ინფორმაციის წყარო: • ადვოკატები/ საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია (GBA); • არასამთავრობო ორგანიზაციები; • საქართველოს იურიდიული ფირმების ასოციაცია (სიფა); • იურიდიული დახმარების სამსახური; • უნივერსიტეტები და აკადემიური წრეები; • საჯარო თხოვნა საზოგადოებას ინფორმაციის მოწოდების თაობაზე	1.კეთილსინდისიერება; 2.კომპეტენტურობა	1.1. დამოუკიდებულობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა 1.2. პიროვნული და პროფესიული ქცევა 2.1. ზეპირი კომუნიკაციის უნარი 2.2. პროფესიული თვისებები	პიროვნული და პროფესიული ქცევის შესამოწმებლად ყურადღება მისაქცევია კანდიდატის: • კორექტულობა კოლეგებთან და სხვა პირებთან ურთიერთობისას; • თავდაჭერილობა/თმენის ვალდებულების შესრულება, საკუთარი ემოციების მართვის უნარი; • საქმიანობისას დისკრიმინაციული გამონათქვამებისგან თავის შეკავება ზეპირი კომუნიკაცის უნარის შესამოწმებლად, ყურადღება მისაქცევია კანდიდატის: • გამართული მეტყველების უნარი; • სხვისი/განსხვავებული აზრის მოთმინებით მოსმენის უნარი და ღიაობა პროფესიული თვისებების შესამოწმებლად ყურადღება მისაქცევია კანდიდატის: • პუნქტუალობა; • შრომისმოყვარეობა • დამოუკიდებლად აზროვნების უნარი; • სტრესულ სიტუაციაში მუშაობის უნარი; • მიზანდასახულობა; • პროდუქტიულობა და სისწრაფე; • მენეჯერული უნარ-ჩვევები;
5.გადაცდომები პროფესიულ საქმიანობაში (დიციპლინური წარმოება/პროფესიული	ინფორმაციის წყარო: • GBA-ს ეთიკის კომისიის გადაწყვეტლებები ადვოკატების შემთხვევაში • გენ. ინსპექციის გადაწყვეტილებები პროკურორების შემთხვევაში	1.კეთილსინდისიერება;	1.1. პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი 1.2. დამოუკიდებლობა,	• რა დარღვევა დადგინდა • დარღვევის სიმძიმე • დაკისრებული სანქცია • გამეორებითი დარღვევის შემთხვევები

ეთიკის დარღვევის შემთხვევები)	• იუსტიციის უმაღლესი საბჭოსთვის მიწოდებული მასალები • ადვოკატებისგან მიღებული ინფორმაციები • არასამთავრობო ორგანიზაციებისგან მოპოვებული ინფორმაცია • სხვა გადაწყვეტილებები კანდიდატის წინააღმდეგ (მაგ. ხომ არ ფიგურირებს პროკურატურის ახალი დეპარტამენტის მიერ ქონების ჩამორთმევასთან დაკავშირებით წარმოებულ საქმეებში)	2.კომპეტენტურობა	მიუკერძოებლობა და სამართლიანობა 1.3. პიროვნული და პროფესიული ქცევა 2.1. პროფესიული თვისებები, მათ შორის ქცევა სასამართლო დარბაზში	
6. პროფესიული საქმიანობის განხორციელებისათვის მინიჭებული ჯილდოები/დაწინაურებები/სტიპენდიები	საჯარო მასალები, საჯარო წყაროები, იუსტიციის უმაღლესი საბჭო	1.კეთილსინდისიერება	1.1. პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია (?) 2.1. აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა 2.2. პროფესიული აქტივობა	• ჯილდოს/სტიპენდიის გამცემი • ჯილდოს სტიპენდიის გადაცემის მიზეზი (რა დამსახურებისთვის/რისთვის) • ჯილდოს/სტიპენდიის გადაცემის თარიღი/პერიოდი • დაწინაურების ლოგიკურობა (მაგალითად ერთი ინსტანციიდან მეორეში)

III. მოსამართლეობის კანდიდატის ფინანსური ვალდებულებებისა და შემოსავლების იდენტიფიცირება

	ინფორმაციის წყარო/ინსტრუმენტი	შეფასების კრიტერიუმი, რომელიც მოწმდება	შეფასების კრიტერიუმის მახასიათებელი, რომელიც მოწმდება	კონკრეტული საკითხები, რომლებზეც უნდა მოხდეს ყურადღების გამახვილება
ქონება (როგორც კანდიდატის ასევე ოჯახის წევრების)	• ქონებრივი დეკლარაცია; • საჯარო რეესტრის მონაცემები; • მედია; • ცესკოს ბაზა; • სხვა ღია წყაროები	1.კეთილსინდისიერება	1.1. პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი; 1.2. დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა, სამართლიანობა (?) 1.3. ფინანსური ვალდებულება	• სანდოობა (?) • ოფიციალური შემოსავლები და სხვა შემოსავლების წყაროები/მიღებული საჩუქრები; • ოფიციალურ შემოსავალთან/აქტივებთან საკუთრებაში ან/და სარგებლობაში არსებული ქონების მოცულობის ურთიერთმიმართება; • ოჯახის წევრების ქონების მოცულობა; • სხვა ხარჯების მიზანშეწონილობა (სამკურნალოდ თუ დადის მაგალითად გერმანიაში);
ვალდებულებები (როგორც კანდიდატის ასევე ოჯახის წევრების)	• ქონებრივი დეკლარაცია; • საჯარო რეესტრის მონაცემები; • მედია; • ცესკოს ბაზა; • სხვა ღია წყაროები	1.კეთლსინდისიერება	1.1. პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი; 1.2. დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა, სამართლიანობა (?) 1.3. ფინანსური ვალდებულება	• ოფიციალურ შემოსავალთან/აქტივებთან ვალის/ვალდებულებების შესაბამისობა • პროცესის მხარესთან არსებული ვალდებულებები; • ინტერესთა კონფლიქტები

IV. მოსამართლეობის კანდიდატის კანონთან ანდა ინტერესებთან კონფლიქტის იდენტიფიცირება

კონფლიქტის ტიპი	**ინფორმაციის წყარო/ინსტრუმენტი**	**შეფასების კრიტერიუმი, რომელიც მოწმდება**	**შეფასების კრიტერიუმის მახასიათებელი, რომელიც მოწმდება**	**კონკრეტული საკითხები, რომლებზეც უნდა მოხდეს ყურადღების გამახვილება**
1.მიმდინარე ან დასრულებული გამოძიება/სისხლის სამართლებრივი დევნა კანდიდატის ან მისი ოჯახის წევრების მიმართ	ინფორმაციის წყარო: • შსს; • პროკურატურა; • სასამართლოები; • სოც. ქსელები; • იუსტიციის უმაღლესი საბჭოსთვის მიწოდებული მასალები; • ადვოკატებისგან მიღებული ინფორმაცია; • არასამთავრობო ორგანიზაციებისგან მოპოვებული ინფორმაცია. • სხვა ღია წყაროებიდან მოპოვებული ინფორმაცია	1.კეთილსინდისიერება	1.1. პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი 1.2. პიროვნული და პროფესიული ქცევა	• ბრალდების სახე და სიმძიმე (განსაკუთრებული აქცენტი ოჯახში და ქალთა მიმართ ძალადობის შემთხვევებზე); • გამოწერილი ორდერების რაოდენობა; • ბრალდების შედეგი; • ქმედების განმეორებითობა.
2. სამართალდარღვევები/ჯარიმები/სასამართლო დავები სადაც კანდიდატი მხარეა	ინფორმაციის წყარო: • შსს; • პროკურატურა; • სასამართლოები; • სოც. ქსელები; • იუსტიციის უმაღლესი საბჭოსთვის მიწოდებული მასალები; • ადვოკატებისგან მიღებული ინფორმაცია;	1.კეთილსინდისიერება	1.1. პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი 1.2. პიროვნული და პროფესიული ქცევა	• სამართალდარღვევის სახე და სიმძიმე (განსაკუთრებული აქცენტი ოჯახში და ქალთა მიმართ ძალადობის შემთხვევებზე); • გამოწერილი ორდერების რაოდენობა; • სამართალდარღვევის შედეგი/დაკისრებული სანქცია; • ქმედების განმეორებითობა.

	• არასამთავრობო ორგანიზაციებისგან მოპოვებული ინფორმაცია. • სხვა ღია წყაროებიდან მოპოვებული ინფორმაცია			
3. პარტიული მიკუთვნებულობა ან ინტერესთა კონფლიქტი იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრთან და კავშირი პოლიტიკოსებთან/გავლენიან ადამიანებთან	ინფორმაციის წყარო: • პარტიების სადამფუძნებლო დოკუმენტები/საჯარო რეესტრის მონაცემები; • შემომწირველთა სია; • კანდიდატის მიერ გაკეთებული საჯარო განცხადებები (მათ შორის სოც. ქსელებში, მედიაში და ა.შ.) • არასამთავრობო ორგანიზაციებისგან მოპოვებული ინფორმაცია. • სხვა ღია წყაროებიდან მოპოვებული ინფორმაცია • საერთაშორისო გამჭირვალობა-საქართველოს ბაზები • დეკლარაციები	1.კეთილსინდისიერება	1.1. პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი; 1.2. დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა; 1.3. პიროვნული და პროფესიული ქცევა.	• ნათესაური კავშირი საბჭოს რომელიმე წევრთან; • პარტიული აქტივობის შემთხვევაში აქტივობის ხანგძრლივობა და პერიოდი;

დანართი N2

კანონით და საბჭოს გადაწყვეტილებით გათვალისწინებული კეთილსინდისიერებისა და კომპეტენტურობის მახასიათებლები

კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მახასიათებლებია:

პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი

<u>გაითვალისწინება შემდეგი:</u> პატიოსნება, კეთილსინდისიერება, მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის შესაბამისი შეგნება, გამჭვირვალობა, კორექტულობა და სიზუსტე სამსახურებრივი ან სხვა მოვალეობების, ფინანსური ან სხვა ვალდებულებების შესრულებისას (მაგალითად, ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის შევსებისას, ბანკის ან სხვა ვალის გადახდისას, კომუნალური ან სხვა გადასახადის გადახდისას, საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისათვის ჯარიმის გადახდისას), *ხოლო სამოსამართლო გამოცდილების მქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასებისას – ასევე სიმართლისმოყვარეობა.*

დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა

<u>გაითვალისწინება შემდეგი:</u> პრინციპულობა, გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების უნარი და ზეგავლენის მიმართ მედეგობა, პიროვნული სიმტკიცე, შეუვალობა, ქცევა მის მიმართ სამოქალაქო ან ადმინისტრაციული სამართალწარმოების მიმდინარეობისას, *ხოლო სამოსამართლო გამოცდილების მქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასებისას – ასევე პოლიტიკური ან სხვა ნიშნით მიუკერძოებლობა, სამართლიანობა.*

პიროვნული და პროფესიული ქცევა

<u>გაითვალისწინება შემდეგი:</u> კორექტულობა კოლეგებთან და სხვა პირებთან ურთიერთობისას, თავდაჭერილობა, საკუთარი ემოციების მართვის უნარი, სასამართლოში წარმართული დავები, რომლებშიც იგი მონაწილეობდა, როგორც მხარე, მის წინააღმდეგ სისხლისსამართლებრივი ბრალდების არსებობა, *ხოლო სამოსამართლო გამოცდილების მქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასებისას – ასევე მის მიერ სამოსამართლო ეთიკის დაცვა, მოსამართლის მაღალი წოდების შესაბამისი ქცევა და იმიჯი, ქცევა მის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების მიმდინარეობისას.*

პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია

<u>გაითვალისწინება შემდეგი:</u> საქმიანი და მორალური რეპუტაცია და ავტორიტეტი იურიდიულ წრეებსა და საზოგადოებაში, იურიდიულ წრეებთან ურთიერთობის ხასიათი, *ხოლო სამოსამართლო გამოცდილების მქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასებისას – ასევე იურიდიულ წრეებთან ურთიერთობის ხარისხი.*

ფინანსური ვალდებულება (*სამოსამართლო გამოცდილების მქონე მოსამართლეობის კანდიდატისათვის გათვალისწინებული დამატებითი მახასიათებელი)*:
<u>გაითვალისწინება შემდეგი:</u> ინფორმაცია მისი შემოსავლის წყაროს, აქტივების, საკუთრებაში ან/და სარგებლობაში არსებული ქონების და ამ ქონების თუ შემოსავლის შესაბამისი ვალისა და ვალდებულების შესახებ. ფინანსური ვალდებულების შემოწმების მიზანია, შეფასდეს, არსებობს თუ არა საფუძველი მოსამართლის ქონებრივი ინტერესების მართლმსაჯულების ინტერესებთან დაპირისპირებისა, რამაც, შესაძლოა, საფრთხე შეუქმნას მოსამართლის მიუკერძოებლობას;

კომპეტენტურობის კრიტერიუმებია:
სამართლის ნორმების ცოდნა
<u>გაითვალისწინება შემდეგი:</u> მატერიალური და საპროცესო კანონმდებლობის, ადამიანის უფლებების სამართლის (მათ შორის, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის) მის მიერ ცოდნის დონე. აღნიშნული მახასიათებლით სამოსამართლო გამოცდილების არმქონე მოსამართლეობის კანდიდატის შესაფასებლად საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო, უფლებამოსილია, გამოითხოვოს მოსამართლეობის კანდიდატის მიერ ჩაბარებული მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდის შედეგები და იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს შეფასება, *ხოლო სამოსამართლო გამოცდილების მქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასებისას - ასევე მოსამართლეობის კანდიდატის მიერ განხილულ საქმეებზე გამოტანილ გადაწყვეტილებებში სამართლის ნორმების, მათ შორის, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის გამოყენების სისწორე.*

სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია:
<u>გაითვალისწინება შემდეგი:</u> მისი ანალიტიკური აზროვნების უნარი და პროფესიული გამოცდილება, *ხოლო სამოსამართლო გამოცდილების მქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასებისას - ასევე მის მიერ განხილულ საქმეებზე მიღებული გადაწყვეტილებების დასაბუთებულობა და დამაჯერებლობა.*

აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა:
<u>გაითვალისწინება შემდეგი:</u> სიახლეების მიმართ მისი ღიაობა, თვითგანვითარების უნარი, საოფისე კულტურა, ახალი ცოდნისა და უნარების შეძენის ინტერესი, პროფესიული წვრთნის პროგრამებში მონაწილეობა, შეძენილი ცოდნისა და უნარების პრაქტიკულ საქმიანობაში გამოყენება.

პროფესიული აქტივობა:
<u>გაითვალისწინება შემდეგი:</u> ინიციატივის გამოჩენის უნარი, იდეებისა და წინადადებების წამოყენება, მისი სამეცნიერო და სხვა პუბლიკაციები, იურიდიული პროფესიისა და საზოგადოების წინაშე დამსახურება, *ხოლო სამოსამართლო გამოცდილების მქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასებისას – ასევე სამართლებრივი სისტემისა და მართლმსაჯულების საკითხებზე სხვადასხვა ფორმატის დისკუსიებში, შეხვედრებსა და სემინარებში მისი მონაწილეობა, საკუთარი პოზიციებისა და შეხედულებების ღიად და თავისუფლად გამოხატვა.*

სამოსამართლო გამოცდილების არმქონე კანდიდატების შემთხვევაში კიდევ:
წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი
<u>გაითვალისწინება შემდეგი:</u> წერილობით აზრის ნათლად და გასაგებად გადმოცემის, ლოგიკური მსჯელობისა და ანალიზის უნარი, გამართულად მეტყველების უნარი, სხვისი აზრის მოთმინებით მოსმენის უნარი, ღიაობა, განსხვავებული აზრის მოსმენის შესაძლებლობა.

პროფესიული თვისებები
<u>გაითვალისწინება შემდეგი:</u> პუნქტუალურობა, შრომისმოყვარეობა, დამოუკიდებელი აზროვნების უნარი, სტრესულ სიტუაციაში მუშაობის უნარი, მიზანდასახულობა, მენეჯერული უნარ-ჩვევები.

სამოსამართლო გამოცდილების მქონე კანდიდატების შემთხვევაში კიდევ:
წერის უნარი
<u>გაითვალისწინება შემდეგი:</u> აზრის ნათლად და გასაგებად გადმოცემის, ლოგიკური მსჯელობისა და ანალიზის უნარი.

ზეპირი კომუნიკაციის უნარი
<u>გაითვალისწინება შემდეგი:</u> გამართული მეტყველების უნარი, სხვისი აზრის მოთმინებით მოსმენის უნარი, ღიაობა, განსხვავებული აზრის მოსმენის შესაძლებლობა.

პროფესიული თვისებები, მათ შორის ქცევა სასამართლო დარბაზში
<u>გაითვალისწინება შემდეგი:</u> პუნქტუალურობა, საქმის ჯეროვნად და პასუხისმგებლობით მომზადება, ქცევა სასამართლო დარბაზში და სასამართლო სხდომის სათანადოდ წარმართვის უნარი, ქცევა მხარეებთან ურთიერთობისას, გულმოდგინება და შრომისმოყვარეობა, გადაწყვეტილების დაუხმარებლად მიღებისა და დამოუკიდებელი აზროვნების უნარი, სტრესულ სიტუაციაში მუშაობის უნარი, მიზანდასახულობა, პროდუქტიულობა და სისწრაფე, საპროცესო ვადების დაცვა, მენეჯერული უნარ-ჩვევები.

დამატებითი საკითხები

სამოსამართლო გამოცდილების მქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასებისას, სავალდებულოა, მის მიერ განხილული 5 საქმის შეფასება, რომლებზე გამოტანილი შემაჯამებელი/საბოლოო გადაწყვეტილებებიც კანონიერ ძალაშია შესული (მათ შორის, არანაკლებ 2 საქმის (არსებობის შემთხვევაში) შეფასება, რომლებზე გამოტანილი შემაჯამებელი/საბოლოო გადაწყვეტილებებიც ზემდგომი ინსტანციის სასამართლომ გააუქმა/ნაწილობრივ გააუქმა). შესაფასებელი საქმეები შემთხვევითობის პრინციპის დაცვით შეირჩევა.

აღნიშნული მიზანია, შეფასდეს მატერიალური და საპროცესო კანონმდებლობების, ადამიანის უფლებების სამართლის (მათ შორის, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის) მოსამართლეობის კანდიდატის მიერ ცოდნის დონე, მის მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებაში შესაბამისი სამართლის ნორმების გამოყენების სისწორე, გადაწყვეტილების დასაბუთებულობა და დამაჯერებლობა, მოსამართლის ანალიტიკური აზროვნების უნარი, აზრის ნათლად და გასაგებად გადმოცემის, ლოგიკური მსჯელობისა და ანალიზის უნარი. საქმის/გადაწყვეტილების შესწავლისას, ასევე ფასდება ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს მიერ გაუქმებულ/ნაწილობრივ გაუქმებულ გადაწყვეტილებაში დაშვებული სამართლებრივი შეცდომის ხასიათი და სერიოზულობა.

დანართი N3

უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატის შესახებ მოპოვებული ინფორმაციის ფორმა (სამუშაო ვერსია)

სახელი, გვარი:
სამოსამართლო გამოცდილება: კი ☐ არა ☐

I. საჯარო აქტივობები/პოზიციონირება და ქცევა

1.სოციალურ ქსელებში განხორციელებული აქტივობები

<u>სოც. ქსელის სახელწოდება და პროფილის ლინკი:</u> Facebook Twitter odnoklassniki vkontakte Instagram .....
თანასწორობის/ადამიანის უფლებების საკითხებთან დაკავშირებული ხედვა
პოლიტიკური აქტივობები/შესაძლო პოლიტიკური მიკუთვნებულობა (რომელიმე პარტიის აქტიური მხარდაჭერის გამოხატვა
სასამართლოსთან დაკავშირებული თემებზე (როგორც ინსტიტუციური საკითხები, ასევე კონკრეტული გადაწყვეტილებები) რეაგირებები;
სამოქალაქო საზოგადოებასთან და დემოკრატიულ ღირებულებებთან დაკავშირებით გამოხატული პოზიციები

2.საჯარო გამოსვლები და ინტერვიუები

<u>საჯარო გამოსვლის/ინტერვიუს გამოქვეყნების ადგილი, დრო და ლინკი</u>
თანასწორობის/ადამიანის უფლებების საკითხებთან დაკავშირებული ხედვა
ეთიკის ნორმების დაცვა

სასამართლოსთან დაკავშირებული თემებზე (როგორც ინსტიტუციური საკითხები, ასევე კონკრეტული გადაწყვეტილებები) რეაგირებები
სამოქალაქო საზოგადოებასთან და დემოკრატიულ ღირებულებებთან დაკავშირებით გამოხატული პოზიციები
ჟურნალისტებთან დამოკიდებულება
სხვა

3.ლექციების/ტრენინგების და მსგავსი საგანმანათლებლო ღონისძიებების ჩატარება ან მასში მონაწილეობა

<u>ჩატარებული ლექციის ადგილი, დრო, თემატიკა და ლინკი</u>
თანასწორობის/ადამიანის უფლებების საკითხებთან დაკავშირებული ხედვა
ეთიკის ნორმების დაცვა
სამოქალაქო საზოგადოებასთან და დემოკრატიულ ღირებულებებთან დაკავშირებით გამოხატული პოზიციები
სასამართლოსთან დაკავშირებული თემებზე (როგორც ინსტიტუციური საკითხები, ასევე კონკრეტული გადაწყვეტილებები) გამოხატული ხედვები
სხვა

<u>ზოგადი ინფორმაცია ტრენინგების შესახებ</u>
ჩატარებული ტრენინგების/ლექციების თემატიკა და შინაარსი
იმ ტრენინგების/ლექციების რაოდენობა, თემატიკა და შინაარსი, რომელშიც კანდიდატმა მონაწილეობა მიიღო

სხვა

4. გამოქვეყნებული სტატია/წიგნი/რეცენზია; სხვა სახის აკადემიური საქმიანობა

<u>გამოქვეყნების ადგილი, დრო, თემატიკა და ლინკი</u>
აკადემიურ სტანდარტების დაცვის ხარისხი
ნაშრომის გავლენა/შედეგი:, არის თუ არა ციტირებადი, ხდება თუ არა მისი გამოყენება, რა ღირებულება აქვს ნაშრომს, არის თუ არა სილაბუსის ნაწილი, არის თუ არა ნაშრომი გამორჩეული/ორიგინალური
თანასწორობის/ადამიანის უფლებების საკითხებთან დაკავშირებული ხედვა;
სამოქალაქო საზოგადოებასთან და დემოკრატიულ ღირებულებებთან დაკავშირებით გამოხატული პოზიციები
სასამართლოსთან დაკავშირებული თემებზე (როგორც ინსტიტუციური საკითხები, ასევე კონკრეტული გადაწყვეტილებები) გამოხატული ხედვები
სხვა

II. პროფესიული საქმიანობა/პროფესიული საქმიანობისას გამოვლენილი თვისებები/ქცევები, აგრეთვე პროფესიულ საქმიანობაში გამოვლენილი გადაცდომები

(სამოსამართლო გამოცდილების მქონე კანდიდატის შემთხვევაში)

1. მიღებული/ მომზადებული გადაწყვეტილებები/განსხვავებული აზრი/წარდგინება

უზენაესის/ საკონსტიტუციოს და საერთაშორისო/რეგიონალური სასამართლოების პრაქტიკის, აგრეთვე სამართლის ნორმების სწორი გამოყენება
სამართლებრივად საინტერესო ან პრეცედენტული გადაწყვეტილებების არსებობა
გაკეთებული განმარტებების ხარისხი
ჯგუფებზე/უმცირესობებზე გამოხატული პოზიცია
გადაწყვეტილებების თანმიმდევრულობა (თავისივე გადაწყვეტილებებში ლოგიკაში აცდენის შემთხვევები)
გადაწყვეტილებების შაბლონურობა
გახმაურებულ საქმეებში მონაწილეობა და გამოხატული პოზიცია
განხილული საქმეების (განსაკუთრებით რთული კატეგორიის საქმეთა) რაოდენობა
კანდიდატის მონაწილეობით მიღებულ გადაწყვეტილებებთან მიმართებით ზედა ინსტანციებში ან ECtHR-ში მიღებული გადაწყვეტილებების რაოდენობა და შეფასება (მათ შორის გაუქმებული გადაწყვეტილებების თანაფარდობა ძალაში დატოვებულ გადაწყვეტილებებთან; EctHR-ის შემთხვევაში მის მიერ ცნობილი დარღვევები)
გაკეთებული წარდგინებების რაოდენობა და შინაარსი
კანდიდატის მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებების ზოგადი სტატისტიკა (თანაფარდობა გამამართლებელ და გამამტყუნებელ განაჩენებს შორის)
აღკვეთის შეფარდების სტანდარტი რასაც იყენებს/აღკვეთის შეფარდების სტატისტიკა
ფარულ მოსმენებთან დაკავშირებით მიღებული განჩინებების სტატისტიკა

სხვა

(სამოსამართლო გამოცდილების მქონე კანდიდატის შემთხვევაში)

2. კანდიდატის ქცევა და გამოვლენილი თვისებები პროცესების მიმდინარეობისას და სხვა სახის საქმიანობის განხორციელებისას

სამოსამართლო ეთიკის დაცვა; კორექტულობა კოლეგებთან და სხვა პირებთან ურთიერთობისას; მოსამართლის მაღალი წოდების მესაბამისი ქცევა და იმიჯი; თავდაჭერილობა/თმენის ვალდებულების შესრულება, საკუთარი ემოციების მართვის უნარი; საქმიანობისას დისკრიმინაციული გამონათქვამებისგან თავის შეკავება
გამართული მეტყველების უნარი; სხვისი/განსხვავებული აზრის მოთმინებით მოსმენის უნარი და ღიაობა
პუნქტუალობა; საქმის ჯეროვნად და პასუხისმგებლობით მომზადება; ქცევა სასამართლო დარბაზში და სასამართლო სხდომის წარმართვის უნარი; ქცევა მხარეებთან ურთიერთობისას; გადაწყვეტილების დაუხმარებლად მიღებისა და დამოუკიდებლად აზროვნების უნარი; სტრესულ სიტუაციაში მუშაობის უნარი; მიზანდასახულობა; პროდუქტიულობა და სისწრაფე; საპროცესო ვადების დაცვა; მენეჯერული უნარ-ჩვევები;

(სამოსამართლო გამოცდილების არმქონე კანდიდატის შემთხვევაში)

3. პროფესიული საქმიანობის ფარგლებში მიღებული გადაწყვეტილებები/საქმიანობა (ადვოკატები, პროკურორები)

Pro Bono საქმიანობა;
საკონსტიტუციო სასამართლოში/ECtHR-ში ან სხვა სასამართლოში წარმოებული საქმეები;
აშკარად დაუსაბუთებელი პოზიციის/გადაწყვეტილებების არსებობა;
ადამიანის უფლებების ცოდნა-საერთაშორისო პრეცედენტების გამოყენება.

(სამოსამართლო გამოცდილების არმქონე კანდიდატის შემთხვევაში)

4. კანდიდატის ქცევა და გამოვლენილი თვისებები პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას

კორექტულობა კოლეგებთან და სხვა პირებთან ურთიერთობისას; თავდაჭერილობა/თმენის ვალდებულების შესრულება, საკუთარი ემოციების მართვის უნარი; საქმიანობისას დისკრიმინაციული გამონათქვამებისგან თავის შეკავება
გამართული მეტყველების უნარი; სხვისი/განსხვავებული აზრის მოთმინებით მოსმენის უნარი და ღიაობა
პუნქტუალობა; შრომისმოყვარეობა დამოუკიდებლად აზროვნების უნარი; სტრესულ სიტუაციაში მუშაობის უნარი; მიზანდასახულობა; პროდუქტიულობა და სისწრაფე; მენეჯერული უნარ-ჩვევები;

5. გადაცდომები პროფესიულ საქმიანობაში (დიციპლინური წარმოება/პროფესიული ეთიკის დარღვევის შემთხვევები)

გადაცდომის და მასზე მიღებული გადაწყეტილების თარიღი და გადაწყვეტილების მიმღები დაწესებულება
რა დარღვევა დადგინდა
დარღვევის სიმძიმე
დაკისრებული სანქცია
გამეორებითი დარღვევის შემთხვევები

6. პროფესიული საქმიანობის განხორციელებისათვის მინიჭებული ჯილდოები/დაწინაურებები/სტიპენდიები

ჯილდოს/სტიპენდიის გამცემი
ჯილდოს სტიპენდიის გადაცემის მიზეზი (რა დამსახურებისთვის/რისთვის)
ჯილდოს/სტიპენდიის გადაცემის თარიღი/პერიოდი
დაწინაურების ლოგიკურობა (მაგალითად ერთი ინსტანციიდან მეორეში)

III. მოსამართლეობის კანდიდატის ფინანსური ვალდებულებებისა და შემოსავლების იდენტიფიცირება

1. ქონება (როგორც კანდიდატის ასევე ოჯახის წევრების)

ოფიციალური შემოსავლები და სხვა შემოსავლების წყაროები/მიღებული საჩუქრები;
ოფიციალურ შემოსავალთან/აქტივებთან საკუთრებაში ან/და სარგებლობაში არსებული ქონების
მოცულობის ურთიერთმიმართება;
ოჯახის წევრების ქონების მოცულობა;

სხვა ხარჯების მიზანშეწონილობა (სამკურნალოდ თუ დადის მაგალითად გერმანიაში);

2. ვალდებულებები (როგორც კანდიდატის ასევე ოჯახის წევრების)

ოფიციალურ შემოსავალთან/აქტივებთან ვალის/ვალდებულებების შესაბამისობა
პროცესის მხარესთან არსებული ვალდებულებები;
ინტერესთა კონფლიქტები
სხვა

IV. მოსამართლეობის კანდიდატის კანონთან ანდა ინტერესებთან კონფლიქტის იდენტიფიცირება

1.მიმდინარე ან დასრულებული გამოძიება/სისხლის სამართლებრივი დევნა კანდიდატის ან მისი ოჯახის წევრების მიმართ

ბრალდების სახე და სიმძიმე (განსაკუთრებული აქცენტი ოჯახში და ქალთა მიმართ ძალადობის შემთხვევებზე)
გამოწერილი ორდერების რაოდენობა
ბრალდების შედეგი
ქმედების განმეორებითობა
სხვა

2. სამართალდარღვევები/ჯარიმები/სასამართლო დავები სადაც კანდიდატი მხარეა

სამართალდარღვევის სახე და სიმძიმე (განსაკუთრებული აქცენტი ოჯახში და ქალთა მიმართ ძალადობის შემთხვევებზე)
გამოწერილი ორდერების რაოდენობა
სამართალდარღვევის შედეგი/დაკისრებული სანქცია
ქმედების განმეორებითობა
სხვა

3. პარტიული მიკუთვნებულობა ან ინტერესთა კონფლიქტი იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრთან და კავშირი პოლიტიკოსებთან/გავლენიან ადამიანებთან

ნათესაური კავშირი საბჭოს რომელიმე წევრთან;
პარტიული აქტივობის შემთხვევაში აქტივობის ხანგძრლივობა და პერიოდი;
სხვა